ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 202

“19” მაისი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლის 6 აპრილის „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ №ე-578-15-26111 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ“ ქვეპუნქტის, 127[2] მუხლის მე-2 პუნქტის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლის 6 აპრილის „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ №ე-578-15-26111 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 10 აპრილის №23.512.575 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გაუქმდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2021 წლის 26 მარტის №E-578-15-26111 ოქმითა და 2021 წლის 6 აპრილის „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ №ე-578-15-26111 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა - „მოთხოვნის შემთხვევაში №01.19.19.003.236 საკადასტრო ერთეულთან მისასვლელის უზრუნველყოფა“.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64,), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე